საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/280

ქ. ბათუმი 01 დეკემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
„მეფუტკრეობა" (2021 წლის საშემოდგომო მიღება)
საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 26 ნოემბრის N1505108 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მეფუტკრეობა"** პროფესიული სტუდენტებისათვის (2021 **წლის საშემოდგომო** მიღება) კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
   გ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   დ) თენგიზ მალაყმაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;
   ე) ომარ ნაკაშიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, დამსაქმებელი;
   ვ) მანანა ბოლქვაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
2. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის

2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.

3. კომისიამ იმუშაოს 2021 წლის 09 დეკემბერს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**